საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2020 წლის ოქტომბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის ოქტომბრის თვეში.

საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“

2020 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს, შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებების განხორციელებასა და შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონი ასევე არეგულირებს, ინსპექტირების დაწყების საფუძვლებსა და შრომითი ნორმების გამოყენებასა და აღსრულებაზე ზედამხედველობის ფარგლებს.

მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნებას შრომითი ნორმების დარღვევისთვის და აწესებს მისი გასაჩივრების წესებს.

აღნიშნულის თანახმად, შრომითი ნორმების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, ხოლო, რაც შეეხება შრომის ნორმების დარღვევისთვის დასაკისრებელ

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

სახდელებს, იგი შემოიფარგლება გაფრთხილებით, ჯარიმითა და სამუშაო პროცესის შეჩერებით.

ზემოაღნიშნული კანონის დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 270160000.05.001.020211

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 5 ოქტომბერს.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

2020 წლის 5 ოქტომბერს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“. კანონში განხორციელებილი ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კანონის მე-9 მუხლის მე-7^2 პუნქტი, რომელიც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„7^2. ამ მუხლის 7^1 (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შეწყვეტა) პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები ვალდებული არიან მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენამდე გააგზავნონ შეტყობინება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 48-ე მუხლით დადგენილი წესით. რეგისტრაციის ამ წესის დაუცველად შეწყვეტის შემთხვევაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 240000000.05.001.020209

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 5 ოქტომბერს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“

2020 წლის 5 ოქტომბერს, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ .

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა, შრომის უსაფრთხოებაზე საზედამხედველო ორგანო, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ, შრომის ინსპექციის სამსახურს დაევალა შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა.

ცვლილებების შედეგად, ასევე განისაზღვრა „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ზედამხედველი ორგანოს საქმიანობისთვის ხელის შეშლისათვის პასუხისმგებლობა და დადგინდა სხვადასხვა სახის სანქციები.

ზემოაღნიშნულ კანონში, ცვლილებები ძირითადად შეეხო სხვადასხვა სახის ფულადი სანქციის განსაზღვრის ნაწილს.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 270000000.04.001.017992

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 5 ოქტომბერს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №243

2020 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშებისა და სათამაშო აპარატების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და სტანდარტები.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

აღნიშნულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებელი ან ნებართვის მფლობელი, რომელიც თავის საქმიანობაში იყენებს/გამოყენებული აქვს არსებითი პროდუქცია ან მომსახურება, POS ტერმინალი ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა.

ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესები განსაზღვრავს, მოთხოვნებს მოთამაშეთა და მათი ანგარიშების მიმართ, მოთხოვნებს სისტემურ-ელექტრონული ოპერატორის საკუთრებაში არსებული სისტემისთვის ან/და პლატფორმისთვის ასევე, Peer-to-Peer თამაშების, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის დისტანციური სათამაშო სისტემის/პლატფორმის მიმართ მოთხოვნებს, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობილი ტოტალიზატორის ოპერატორების საკუთრებაში არსებული სისტემისა და პლატფორმის მიმართ მოთხოვნებს.

სათამაშო აპარატების ნაწილში, ბრძანება განსაზღვრავს იმ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რომელიც დაკავშირებულია სათამაშო აპარატების ტექნიკურ ნაწილთან და ელექტრონულ სამაგიდო თამაშებთან.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მოთხოვნებისა და სტანდარტების დეტალური ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდი: 040170310.22.033.017377

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 2 ოქტომბერს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №240

2020 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის მიმართ წაყენებული მოთხოვნების ნუსხა.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულია ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემა,

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მათ შორის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს მასში ჩართული ყველა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორთან, ასევე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების მფლობელთან თამაშობების ორგანიზებისთვის/მიწოდებისთვის გამოყენებული/გამოსაყენებელი პროგრამული უზრუნველყოფისა და აღჭურვილობის აქტივობის კონტროლი.

ბრძანებით ასევე განსაზღვრულია კონტროლის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მოთხოვნები, რომლის რამდენიმე პუნქტის თანახმა, სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს უწყვეტად, 24 საათის განმავლობაში, დაცული უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები, სისტემაში არსებული ინფორმაცია დაცული უნდა იყოს დაკარგვის, წაშლის, დაზიანებისა თუ სხვა მსგავსი შემთხვევებისაგან.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მოთხოვნების დეტალური ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდი: 040170310.22.033.017376

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 1 ოქტომბერს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №612

2020 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის №386 დადგენილებაში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რიგი მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4[1] მუხლი:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„მუხლი 4[1]. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, „სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, კონკურსში მონაწილეთა თხოვნის საფუძველზე, გასცენ ცნობა შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტაციით გათვალისწინებული თითოეული მრავალბინიანი სახლის მთლიანი საცხოვრებელი ფართის თაობაზე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის: „ა.ვ“, „ბ.ე“, „გ.ბ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ვ) თუკი საკონკურსო წინადადებაში მითითებულია შეთავაზებული საცხოვრებელი ფართის საკადასტრო კოდი და არსებობს ამავე ფართთან მიმართებით მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, ცნობა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (ყადაღა) არ არის რეგისტრირებული;“;

„ბ.ე) თუკი საკონკურსო წინადადებაში მითითებულია შეთავაზებული საცხოვრებელი ფართის საკადასტრო კოდი და არსებობს ამავე ფართთან მიმართებით მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, ცნობა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (ყადაღა) არ არის რეგისტრირებული;“;

„გ.ბ) მშენებლობის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა (ბეჭდვითი ან ელექტრონული ფორმით ჩაწერილი CD დისკზე);“;

„გ.დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

3. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტები:

„ე.ე) საექსპერტო დასკვნა შესაბამისი მრავალბინიანი სახლის კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ;

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ე.ვ) ცნობა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა (ყადაღა) არ არის რეგისტრირებული.“

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდი: 330100000.10.003.022332

აღნიშნული დადგენილება ამოქმედა 2020 წლის 6 ოქტომბერს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge